

1. ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის დასახელება ლინგვისტური ინფორმატიკა (Linguistic Informatics)
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი -მეცნიერებათა მაგისტრი (ენა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) (Master of Science (Language and Communication Technologies))
3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - თამაზ გამყრელიძე – აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, თსუ რექტორის მრჩეველი და ლინგვისტური პროგრამების ხელმძღვანელი.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი: ლინგვისტური ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანს შეადგენს სტუდენტების მომზადება სადოქტორო პროგრამების გასავლელად ან სამუშაოდ სასწავლო თუ კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე სამეცნიერო ლაბორატორიებში, რომლებიც იკვლევენ ბუნებრივი ენებისა და მეტყველების დამუშავებას, ქმნიან კომპიუტერულ პროდუქტებს ამ დარგში. მაგისტრის მომზადება ითვალისწინებს საუნივერსიტეტო განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) მიღებული ინფორმატიკული და ლინგვისტური ცოდნის გაღრმავებასა და სრულყოფას, დარგის თანამედროვე დონის დაუფლებას, მომიჯნავე დარგებთან მიმართებების პერსპექტივების წარმოდგენას, დარგის ძირითადი თეორიული პრობლემების მთელი კომპლექსის ათვისებას და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური მეთოდების სწორად გამოყენებას.

შედეგი: მაგისტრი შეძლებს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებას ინფორმატიკის ან ლინგვისტიკის დარგში, აგრეთვე ლინგვისტური ინფორმაციის დამუშავების დარგში; მიღებული ცოდნის ინტეგრირების საფუძველზე თავს გაართმევს სირთულეებს და ჩამოაყალიბებს საკუთარ მოსახრებებსა და ორიგინალურ დებულებებს; შეიძენს მის მიერ მოპოვებული დასკვნების საჯარო წარდგენის გამოცდილებას, შეძლებს მათ მკაფიო დასაბუთებას სხვადასხვა აუდიტორიაში. შეიძენს დამოუკიდებელი კვლევისა და სწავლის გაგრძელების უნარს.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გამოიყენონ მიღებული ცოდნა როგორც საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში მუშაობისას, ისე ყველგან, სადაც სჭირდებათ ლინგვისტი-ინფორმატიკოსი, აგრეთვე ლინგვისტი ან ინფორმატიკოსი. ეს სფეროებია: კომპიუტერული ცენტრები, გამომცემლობები, მასმედია, დიდი საკომუნიკაციო სისტემები, სარეკლამო სააგენტოები, მართვის ორგანოები – სამინისტროები (მათ შორის განათლების სამინისტრო), პარლამენტი, საარჩევნო კომისიები და სხვ.; თარჯიმანთა ბიუროები, სამედიცინო კლინიკები, სასამართლოს აპარატი, სხვადასხვა დარგის მუშაკთა საატესტაციო კომისიები და ა.შ.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

ზუსტ მეცნიერებათა ან ფილოლოგიის რომელიმე საენათმეცნიერო დარგის ბაკალავრის დიპლომი. პროგრამაზე ჩაბარებისას გამოცდებზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებულ პირებს. სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის.

მაგისტრატურაში შემსვლელმა უნდა ჩააბაროს ჩამოთვლილი ენებიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული), რომელიმე.

მისაღები გამოცდის საკითხები

1. სემიოტიკურ სისტემათა შესწავლის ასპექტები და პროცედურები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი I; Ф.де Соссюр. Труды по языкознанию. Москва, 1977.

2. ნიშანთა აბსტრაქტული სისტემები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი I.

3. ნიშნის პირობითობის პრობლემა და დამატებითობის პრინციპი.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი I; Ф.де Соссюр. Труды по языкознанию. Москва, 1977.

4. ბუნებრივი ენა როგორც საკომუნიკაციო სისტემა.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი I; Ф.де Соссюр. Труды по языкознанию. Москва, 1977.

5. სხვადასხვა სახის მიმართებები სისტემის ელემენტებს შორის.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი I; Ф.де Соссюр. Труды по языкознанию. Москва, 1977.

1. ფონემის ცნების დეფინიციები და ფონოლოგიური ანალიზის პრინციპები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი III; Трубецкой Н.С., Основы фонологии. Москва, 1960.

2. ფონოლოგიური სისტემის ლოგიკური აღწერა დიფერენციალური ნიშნების მიხედვით.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი III.

3. მორფემის ცნება. მორფემული ანალიზის პრინციპები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი IV.

4. მორფოლოგიურ კონსტრუქციათა კლასიფიკაცია.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი IV.

5. გრამემული ანალიზის პრინციპები და მორფოლოგიური კატეგორიები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი IV.

6. გრამატიკული კონსტრუქციების უშუალოშემადგენლური ანალიზი.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავები IV და V.

7. მოდელების ადგილი და როლი თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი V; Чикоидзе Г.Б., Сетевое представление морфологических процессов. Тбилиси, 2004.

1. წარმომშობი მოდელები და მათი აუცილებელი კომპონენტები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი V; Хомский Н., Аспекты теории синтаксиса. Москва, 1972.

2. ვიქტორ ინგვეს მოდელები და სიღრმის ჰიპოთეზა.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი V.

3. ენობრივი მოდელების მრავალდონიანი სტრუქტურა.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი VI; Чикоидзе Г.Б., Сетевое представление морфологических процессов. Тбилиси, 2004.

4. მნიშვნელობათა ლოგიკური და ლინგვისტური კლასიფიკაცია.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი VI; Чейф У., Значение и структура языка. Москва, 1975.

5. ნომინაცია და პოლისემია.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი VI; Апресян Ю.Д., Лексическая семантика. Избранные труды, том I. Школа "Языки русской культуры", 1995.

6. ენათა სტრუქტურული ტიპოლოგიის საგანი, ამოცანები და მეთოდები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი VII; Успенский Б.А., Структурная типология языков. Москва, 1965.

7. ენობრივი უნივერსალიის ცნება და ენობრივ უნივერსალიათა კლასიფიკაცია.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი VII; Успенский Б.А., Структурная типология языков. Москва, 1965.

1. ინფორმაციის დამუშავების ტექნიკური საშუალებები

ლიტერატურა: თ.ზარქუა, Pascal. დაპროგრამების საფუძვლები. თბილისი, 1998; Ефимова О., Морозов В., Шафрин Ю., Курс компьютерной технологии , том 1: Шафрин Ю., Основы компьютерной технологии. М., АБФ, 1998.

2. ციკლის ოპერატორები პროგრამა Pascal-ში.

ლიტერატურა: თ.ზარქუა, Pascal. დაპროგრამების საფუძვლები. თბილისი, 1998; Ефимова О., Морозов В., Шафрин Ю., Курс компьютерной технологии , том 1: Шафрин Ю., Основы компьютерной технологии. М., АБФ, 1998.

3. რეგულარული ტიპი (მასივი) Pascal-ში.

ლიტერატურა: თ.ზარქუა, Pascal. დაპროგრამების საფუძვლები. თბილისი, 1998; Ефимова О., Морозов В., Шафрин Ю., Курс компьютерной технологии , том 1: Шафрин Ю., Основы компьютерной технологии. М., АБФ, 1998.

4. ქვეპროგრამის ცნება Pascal-ში.

ლიტერატურა: თ.ზარქუა, Pascal. დაპროგრამების საფუძვლები. თბილისი, 1998; Ефимова О., Морозов В., Шафрин Ю., Курс компьютерной технологии , том 1: Шафрин Ю., Основы компьютерной технологии. М., АБФ, 1998.

5. საკომუნიკაციო სისტემები და კომუნიკაციის მათემატიკური თეორიის საწყისები.

ლიტერატურა: თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, თავი I.

შეფასების სისტემა – 100-ქულიანი, ბილეთში საკითხების რაოდენობა – ოთხი.